

კეთილსინდისიერების პრინციპის როლი სასამართლო პრაქტიკის განვითარებაში

ლევან დუნდუა¹, გივი კაკუშაძე²

¹ასოცირებული პროფესორი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, თბილისი, შატილის ქ. N4.

²სამართლის მაგისტრი, ადვოკატი.

ანოტაცია

კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ხელშეკრულების დადების, ასევე მისი შესრულების პროცესშიც. მხარეთა შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში, სასამართლო ითვალისწინებს სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილეთა კეთილსინდისიერებას და ხშირ შემთხვევაში, სწორედ ამ საფუძველით იღებს პრაქტიკისთვის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას. ნაშრომში განხილულია როგორც საქართველოში არსებული პრაქტიკა, ასევე მოცემულია ევროპის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკის შედარებითი ანალიზი.

საკვანძო სიტყვები: კეთილსინდისიერების პრინციპი.

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება სამოქალაქო სამართლის ფუნდამენტურ საკითხს - კეთილსინდისიერების პრინციპს, კერძოდ, კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენებას სასამართლო პრაქტიკაში. კეთილსინდისიერების პრინციპი თანამედროვე სამართლის ფუძემდებლური პრინციპია. ის სამოქალაქო სამართლის მნიშვნელოვან ინსტიტუტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში ამ პრინციპის რეალიზაცია სათავეს უდებს სამოსამართლო სამართლის განვითარებას. სწორედ ესაა მიზეზი იმისა, რომ კეთილსინდისიერების პრინციპი სამოქალაქო სამართლის სხვადასხვა დარგში მეტ-ნაკლებად წარმოდგენილია. კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველად საქართველოს სამოქალაქო კოდექსი უნდა იქნეს მიჩნეული, რომელიც არაერთ მუხლში მიუთითებს მის გამოყენებაზე.

ნაშრომის მიზანია მიმოიხილოს კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენების მნიშვნელობა სამოქალაქო სამართლის ისეთი მნიშვნელოვანი დარგის განვითარებისათვის, როგორც სამოსამართლო სამართალია. ასევე მოკრძალებული წვლილი შეიტანოს საზოგადოების ინფორმირებაში. განსახილველი საკითხები უპირატესად კეთილსინდისიერების პრინციპს შეეხება, რომლის ამოცანა მხარეთა შორის დავის გადაწყვეტისას არსებითია.

ნაშრომის მეთოდოლოგიური კვლევის საფუძველად გამოყენებულია ზოგადმეცნიერული, სისტემური, ლოგიკური და ანალიტიკური მეთოდები.

თემის აქტუალურობა კეთილსინდისიერების პრინციპის დანიშნულებისა და მისი პრაქტიკული გამოყენებიდან გამომდინარეობს. ნაშრომი, გარდა შესავლისა და

დასკვნისა, მოიცავს ოთხ ძირითად ნაწილს, რომლებშიც განვითარებული მსჯელობა შესავალში დასმულ საკითხს დასკვნაში სცემს პასუხს.

ვინაიდან ნაშრომის პირველ ნაწილს შესავალი წარმოადგენს, ყურადღება თავდაპირველად, მეორე ნაწილზე გამახვილდება, რომელიც კეთილსინდისიერების ზოგად დახასიათებას შეეხება. მასში ასახულია ის ძირითადი საკითხები, რომლებიც აუცილებელია კეთილსინდისიერების არსის და განმარტების დადგენისათვის. ასევე გადმოცემულია მცირე ისტორიული მიმოხილვა, თუ საიდან იღებს სათავეს დათქმა კეთილსინდისიერების შესახებ. ნაშრომის მესამე ნაწილი კეთილსინდისიერების ფუნქციებს შეეხება, რომლის ძირითადი ამოცანა სამართლიანი შედეგების დადგომა და ამავე დროს, ამკარად უსამართლო შედეგის თავიდან აცილებაა, რაც პირდაპირ უკავშირდება სამოქალაქო ურთიერთობათა სტაბილურობასა და სიმყარეს. მეოთხე ნაწილი კეთილსინდისიერების პრინციპს განმარტავს როგორც განუსაზღვრელ სამართლებრივ კატეგორიას, ვინაიდან კეთილსინდისიერების დეფინიციას სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა და იგი ღია ნორმას წარმოადგენს. მეხუთე ნაწილში საუბარია სამოსამართლო სამართლის განვითარებაზე კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენების მეშვეობით. კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ხელშეკრულების დადების, ასევე მისი შესრულების პროცესშიც. მხარეთა შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში, სასამართლო ითვალისწინებს სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილეთა კეთილსინდისიერებას და ხშირ შემთხვევაში, სწორედ ამ საფუძველით იღებს გადაწყვეტილებას.

ნაშრომის დასკვნაში აღწერილია ის მიღებული შედეგები, რომლებიც თავისი აქტუალობიდან გამომდინარე, თემაზე მუშაობისას წინ იქნა წამოწეული. კერძოდ, შემოთავაზებულია ძირითადი შემაჯამებელი თეზისები, რომლებიც მნიშვნელოვანია კეთილსინდისიერების პრინციპისა და სამოსამართლო სამართლის განვითარების კვეთისას.

კეთილსინდისიერების პრინციპის ზოგადი დახასიათება

კეთილსინდისიერების პრინციპი კერძო სამართლის უნივერსალური შეფასებითი კატეგორიაა.¹ ზოგიერთ შემთხვევაში კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვის შესაბამისად განისაზღვრება ის, თუ რამდენად ნაკლოვანია მხარის მიერ გამოვლენილი ნება.² ამ პრინციპით კონკრეტდება ინდივიდის მოქმედების თავისუფლების ფარგლები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობიდან ან ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლის ნორმიდან პირდაპირ არ გამომდინარეობს.³

¹ *კერესელიძე დ.*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2009, 83.

² *ჯორბენაძე ს.*, ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2017, 65.

³ *კერესელიძე დ.*, დასახ. ნაშრომი, სქოლიო 1, 83.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის გავლენით აღნიშნულმა პრინციპმა ასახვა პოვა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სხვადასხვა მუხლში.⁴ კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის⁵ მე-3 ნაწილის თანახმად, „სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი“. ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლი⁶ განსაზღვრავს ვალდებულების არსებობის პრეზუმციას, რომლის მე-2 ნაწილის თანახმად, „ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას“.

კეთილსინდისიერების მრავალგვარმა ფუნქციამ გამოიწვია ის, რომ სამოსამართლო სამართალში იგი გამოყენებულ იქნა სამართლიანი შედეგების დადგომისათვის და, ამავე დროს, აშკარად უსამართლო შედეგის თავიდან აცილებისთვის.⁷ იმდენად, რამდენადაც კეთილსინდისიერების პრინციპი ზოგადი ვალდებულებაა, იგი ხელს უწყობს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ნორმალურად მოწესრიგებაში არსებული ხარვეზების შევსებას. კეთილსინდისიერების პრინციპი სამოსამართლო სამართლის განვითარების ორიენტირს წარმოადგენს.⁸

კეთილსინდისიერების პრინციპი რომის სამართლიდან იღებს სათავეს. პრინციპი *bona fides* (კეთილსინდისიერება) მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა *ius civile*-სა და რომაულ სამართლებრივ აზროვნებაში. *Bona fides* (*fides*) ტერმინის საქმიან ურთიერთობებში გამოყენება ნიშნავდა, რომ მხარეები თავიანთ პირობას და მიცემულ სიტყვას დაიცავდნენ (*bona fides negotia*), წინააღმდეგ შემთხვევაში დაზარალებულ მხარეს უფლება ჰქონდა, წარედგინა *ex fide bona* პრეტენზია და კონტრაქტისაგან ვალდებულების იძულებით აღსრულება *exceptio doli (generalis)*-სარჩელის საფუძველზე მოეთხოვა.⁹

მე-19 საუკუნის ევროპაში, სამოქალაქო სამართლის პირველი აქტი, რომელშიც აისახა კეთილსინდისიერების პრინციპი, საფრანგეთის 1804 წლის სამოქალაქო კოდექსი იყო. უფრო მეტიც, ჯერ კიდევ მე-17 და მე-18 საუკუნის ფრანგი იურისტები ასახელებდნენ კეთილსინდისიერებას საფრანგეთის სამოქალაქო სამართლის სისტემის ერთ-ერთ

⁴ *ოსელიანი ალ.*, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში (შედარებითსამართლებრივი გამოკვლევა), ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, თბილისი, 2007, 12.

⁵ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (სსკ) მე-8 მუხლი, ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702>> [19.03.2018].

⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (სსკ) 361-ე მუხლი, ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702>> [19.03.2018].

⁷ *ოსელიანი ალ.*, დასახ. ნაშრომი, სქოლიო 4, 12.

⁸ *ხუნაშვილი ნ.*, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2014, 13, ხელმისაწვდომია: <http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/nino_xunashvili.pdf> [19.03.2019].

⁹ *ურიადმყოფელი კ.*, კეთილსინდისიერების პრინციპი ადმინისტრაციულ სამართალში და მისი გამოვლენის ფორმები, სამეცნიერო ჟურნალი „ახალგაზრდა ადვოკატები“ N1, ქ. თბილისი, 2014, 5.

ძირითად პრინციპად. კერძოდ, ფრანგი იურისტის დომას აზრით, ყოველმა ადამიანმა უნდა იხელმძღვანელოს მოცემული დანაწესით ვალდებულების შესრულების დროს.¹⁰

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 242-ე პარაგრაფის თანახმად, „მოვალე ვალდებულია, შესრულება განახორციელოს კეთილსინდისიერად, როგორც ამას ბრუნვის ჩვეულებები მოითხოვს“.¹¹ კეთილსინდისიერების პრინციპი აღიარებულ იქნა „სამეფო ნორმად“, რომლის ამოცანაც იყო გერმანიის მთელი სამართლის „მორალიზაცია“, რომელიც სხვა სამართლის მოდიფიცირებასაც ახდენს.¹² კეთილსინდისიერების პრინციპი ბევრწილად დაკავშირებულია მორალურ სტანდარტებთან. იგი თავად არის მორალური სტანდარტი, ეთიკურ-სამართლებრივი პრინციპი¹³, მასში შეიძლება მოიაზრებოდეს სამართლიანობა, მიზანშეწონილობა, ეთიკურობა, ზნეობრიობა და გულწრფელობა.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 157-ე პარაგრაფის თანახმად, „ხელშეკრულებები განმარტებულ უნდა იქნეს კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე, სამოქალაქო ბრუნვის ჩვეულებების გათვალისწინებით“. აღნიშნული ნორმა სასამართლოს ხელშეკრულების განმარტების შესაძლებლობას აძლევს, რომელიც პრაქტიკაში აქტიურად გამოიყენება.

კეთილსინდისიერების პრინციპი ვრცელდება ყველა სახის კერძო, საჯარო და პროცესუალურ სამართლებრივ ურთიერთობაზე. მისი შემადგენლობა შემდეგნაირია: სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილე მხარეებმა, ვალდებულების შესრულების განმავლობაში და მის შემდგომ უნდა დაიცვან ნდობის პრინციპი, გულისხმიერად მოეკიდონ ერთმანეთის უფლებებს, ქონებრივ სიკეთესა და ინტერესებს.¹⁴ კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენების სფერო ძირითადად განპირობებულია შემთხვევებით, რომლებშიც მოთხოვნა ფორმალურად შეესაბამება მოქმედ მატერიალურ სამართალს, მაგრამ მისი განხორციელება კონკრეტულ შემთხვევაში უსამართლოა. დაუშვებელია, მოქმედი სამართლიდან გამომდინარე, უფლება ან შედეგი იყოს არასამართლიანი. შესაბამისად, კეთილსინდისიერების დათქმა წინ აღუდგება მოთხოვნის განხორციელებას ისეთი უფლებებიდან გამომდინარე, რომელსაც მოცემულ შემთხვევაში უფლების მხოლოდ ფორმა აქვს და არა შინაარსი.¹⁵

ყველა მართლწესრიგი სამართლის სუბიექტთა ქცევის წესს კეთილსინდისიერების პრინციპზე აფუძნებს და ამ პრინციპს ნორმატიულ კონცეფციად განიხილავს. კეთილსინდისიერების ინსტიტუტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამოქალაქო

¹⁰ ხუნაშვილი ნ., დასახ. ნაშრომი, სქოლიო 8, 16.

¹¹ კროპპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, მე-13 გადამუშავებული გამოცემა, თორნიკე დარჯანიასა და ზურაბ ჭეჭელაშვილის თარგმანი, თბილისი, 2014, 113.

¹² იოსელიანი ალ., დასახ. ნაშრომი, სქოლიო 4, 12.

¹³ ურიადმყოფელი კ., დასახ. ნაშრომი, სქოლიო 9, 5.

¹⁴ კროპპოლერი ი., დასახ. ნაშრომი, სქოლიო 11, 113.

¹⁵ კერესელიძე დ., დასახ. ნაშრომი, სქოლიო 1, 83.

სამართლისათვის და იგი მთლიანად კერძო სამართლის უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს.¹⁶

კეთილსინდისიერების პრინციპის ფუნქციები

კეთილსინდისიერების არსის გარკვევისათვის აუცილებელია გავეცნოთ მის ფუნქციებს. კეთილსინდისიერების პრინციპის ძირითადი ფუნქცია სამართლიანი შედეგების დადგომა და ამავე დროს, აშკარად უსამართლო შედეგის თავიდან აცილებაა, რაც პირდაპირ უკავშირდება სამოქალაქო ურთიერთობათა სტაბილურობასა და სიმყარეს.¹⁷ კეთილსინდისიერების პრინციპის კონკრეტულობა შემდეგი ფუნქციებით ხდება: განვრცობის ფუნქცია, შეზღუდვის დაწესების ფუნქცია და შესწორების ფუნქცია.¹⁸

განვრცობის ფუნქცია გულისხმობს, რომ არსებული ძირითადი სახელშეკრულებო ვალდებულებების დაკონკრეტება უნდა მოხდეს კეთილსინდისიერების პრინციპის მიხედვით. ხელშეკრულების ახალი დამატებითი ვალდებულებები, რომლებიც ემსახურებიან ხელშეკრულების განხორციელების უზრუნველყოფას ან ხელშეკრულების მხარეების დაცვას, წარმოიშობიან კეთილსინდისიერების პრინციპის გათვალისწინებით.¹⁹ თუ ხელშეკრულება არ შეიცავს გარკვეულ პირობას, ხელშეკრულებაში არსებული ხარვეზი უნდა შეიცვას გარიგების დამატებითი განმარტებით.²⁰ ამ შემთხვევაში საუბარია სახელშეკრულებო ურთიერთობებში ობიექტურობის აღდგენაზე იმგვარად, რომ მხარეებისთვის დაწესებული იქნეს კონკრეტული წესები მხარეთა ნების შინაარსის მიუხედავად.²¹ აღნიშნული ფუნქცია გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ შემდეგნაირად განმარტა: „მოსამართლე ვალდებულია გამოავლინოს და მხედველობაში მიიღოს ყველაფერი ის, რაც მხარეებმა არ გაამხილეს, მაგრამ ხელშეკრულების საბოლოო მიზნის გათვალისწინებით, მასში დაფიქსირებული უნდა ყოფილიყო, თუ ხარვეზიანი ადგილები მოწესრიგდებოდა სამართლიანობის პრინციპის და საქმიანი ბრუნვის ჩვეულებათა შესატყვისად“.²²

სასამართლო გადაწყვეტილება, საიდანაც ამოღებულია მოცემული ციტატა, მიიღეს შემდეგი საქმის გამო: პატარა პროვინციულ ქალაქებში მცხოვრები ორი ექიმი შეთანხმდა პრაქტიკის გაფართოების მიზნით საცხოვრებელი ადგილების გაცვლაზე. შეთანხმებიდან ცხრა თვის შემდეგ ერთ-ერთი ექიმი ადრინდელი საქმიანობის ადგილს დაუბრუნდა და იქ განაახლა თავისი პრაქტიკა. მეორე ექიმი ამას არ დაეთანხმა, რადგან კონკურენციის შეეშინდა: მისი კლიენტები შეიძლებოდა დაბრუნებოდნენ დიდი ხნის ნაცნობ ექიმს. არც გაცვლის ხელშეკრულებაში, არც დისპოზიციური სამართლის

¹⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 18 ნოემბრის №ას-549-521-2015 გადაწყვეტილება, ხელმისაწვდომია: <<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>> [22.03.2019].

¹⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 12 აპრილის №ას-1224-1076-2010 გადაწყვეტილება, ხელმისაწვდომია <<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>> [09.05.2019].

¹⁸ *კროპჰოლერი ი.*, დასახ. ნაშრომი, სქოლიო 11, 113.

¹⁹ იქვე.

²⁰ *ოსელიანი ალ.*, დასახ. ნაშრომი, სქოლიო 4, 54.

²¹ *ხუნაშვილი ნ.*, დასახ. ნაშრომი, სქოლიო 8, 81-82.

²² *ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ.*, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი II, თბილისი, 2001, 91.

ნორმებში არ არის მოწესრიგებული საქმიანობის აკრძალვის მოთხოვნა. შესაბამისად, გერმანიის უზენაესმა ფედერალურმა სასამართლომ მიმართა „ხელშეკრულების დამატებით განმარტებას“ ხარვეზის შესავსებად. ამ მეთოდის მეშვეობით სასამართლომ შესაძლებლად ჩათვალა ხელშეკრულებაში დამატებითი მომწესრიგებელი ნორმების ჩართვა, რომლის თანახმად, ორივე ექიმს ეკრძალებოდა ორი-სამი წელი მუდმივი პრაქტიკა წინანდელი საქმიანობის ადგილების უშუალო სიახლოვეს.²³

განვრცობის ფუნქციის ამოცანაა სათანადოდ და მოცემული სფეროს სავაჭრო ჩვეულებათა შესაბამისად გაანაწილოს მხარეებს შორის ხელშეკრულებით მოუწესრიგებელი და გაუთვალისწინებელი გარემოებების დადგომის რისკები. მოსამართლემ არ უნდა დაივიწყოს, რომ სასამართლოს მოსაზრებები მხოლოდ იმ მოცულობით არის მხედველობაში მისაღები, რამდენადაც ეს აუცილებელია კონკრეტული ამოცანის გადასაჭრელად.²⁴

შეზღუდვის დაწესების ფუნქცია გულისხმობს ისეთ შემთხვევებს, როდესაც კეთილსინდისიერების პრინციპი ქმნის იმანენტურ (განუყოფელ) ჩარჩოს არსებული უფლებების განხორციელებისთვის.²⁵ კეთილსინდისიერების პრინციპი აუცილებელია ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებების განხორციელების ფრაგლების შესაზღუდად. უფლებათა შეზღუდვის ფუნქცია ხორციელდება სსკ-ის 115-ე და 361-ე მუხლის უშუალო გამოყენებით, რისი დასაბუთებაც ორივე შემთხვევაში სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილია.²⁶ შემაკავებელი ფუნქცია შეზღუდვის დაწესების ფუნქციის სინონიმია, რომელიც გამოიხატება ბრუნვის მონაწილეთა ინტერესების დაბალანსებისა და უფლებათა გაუმართლებელი გამოყენების შეზღუდვაში.²⁷ შეზღუდვის ფუნქცია შეიძლება გამოყენებულ იქნეს მაშინაც, როცა პირი არაკეთილსინდისიერად უშლის ხელს უფლების წარმოშობას ან არაკეთილსინდისიერად სარგებლობს მინიჭებული ნდობით.²⁸

კეთილსინდისიერების პრინციპის შემზღუდავი ფუნქციის მაგალითს ვხვდებით „უნიდროას პრინციპების“²⁹ ოფიციალურ კომენტარებში, სადაც მოყვანილია შემდეგი შემთხვევა: საკრედიტო ხაზის გახსნის შეთანხმების თანახმად, რომელიც დადებული იყო ბანკ „ა“-სა და კლიენტ „ბ“-ს შორის, ბანკმა მოულოდნელად და ყოველგვარი განმარტების გარეშე უარი განაცხადა „ბ“-სთვის შემდგომი ავანსის გამოყოფაზე, რის

²³ იქვე.

²⁴ *ოსელიანი ალ.*, დასახ. ნაშრომი, სქოლიო 4, 54.

²⁵ *კროპპოლერი ი.*, დასახ. ნაშრომი, სქოლიო 11, 113.

²⁶ *ხუნაშვილი ნ.*, დასახ. ნაშრომი, სქოლიო 8, 91.

²⁷ *ვამაკიძე გ.*, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, თბილისი, 2010, 66.

²⁸ *ხუნაშვილი ნ.*, დასახ. ნაშრომი, სქოლიო 8, 91.

²⁹ უნიდროა (Institut International pour l'Unification du Droit – სამართლის უნიფიცირების საერთაშორისო ინსტიტუტი) დაარსდა 1926 წელს ერთა ლიგის ეგიდით კერძო სამართლის უნიფიცირების ხელშეწყობის მიზნით. მისი განსაკუთრებულად წარმატებული პროექტია 1964 წლის ჰააგის უნიფიცირებული კანონი „საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ“, რომელიც მოგვიანებით იქცა ძირითად წყაროდ გაეროს 1980 წლის კონვენციისათვის საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ. იხ.: *ჰარტკამპი არტურ*, სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის თარგმანები, ქართული სამართლის მიმოხილვა, თბილისი, 2009-2010, 185.

გამოც ეს უკანასკნელი განიცდის მძიმე მატერიალურ დანაკარგებს. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულება შეიცავს პირობას, რომელიც „ა“-ს უფლებას ანიჭებს დააჩქაროს გადახდის ვადები, ამ უკანასკნელის მოთხოვნა ვალის სრულად და ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილებისა და შესაბამისი საფუძვლების გარეშე გადახდის შესახებ ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერების პრინციპს.³⁰

კეთილსინდისიერების პრინციპი მხარეებს აკისრებს სახელშეკრულებო ვალდებულებებისას ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინებს ვალდებულებას. თუ ადგილი აქვს უფლების ისე გამოყენებს, რომ მხარეთა ინტერესების გათვალისწინების ვალდებულება ირღვევა, უფლების ასეთი გამოყენება ბოროტ განზრახვად უნდა შეფასდეს.³¹

შესწორების (მაკორექტირებელი) ფუნქცია გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როდესაც რთული და გრძელვადიანი სამართლებრივი ურთიერთობების შემთხვევაში შესაძლებელია უფლება-მოვალეობების მასშტაბური მოდიფიკაცია და კონკრეტული ურთიერთობის შიგნით მხარეთა უფლებებისა და ვალდებულებების შინაარსის ახლებურად განსაზღვრა.³² ასეთ დროს კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენებით შესაძლებელია სამართლებრივი ურთიერთობების შეცვლილ გარემოებებზე მისადაგება.

ნესბისმიერი სამართლებრივი სისტემა ანგარიშს უწევს შეცვლილ გარემოებებზე ვალდებულების შემდგომი შესრულების საკითხის გადაჭრას. შეცვლილი გარემოებები უმეტესწილად სასამართლო პრაქტიკით დადგენილი გარემოებებია. შეცვლილი გარემოება ართულებს შესრულებას იმ დონემდე, რომ მისი შესრულების მოთხოვნა, როგორც გამართლებული საფუძველიც არ უნდა გააჩნდეს მეორე მხარეს, ეწინააღმდეგება სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელ სიკეთეთა სამართლიანი გაცვლისა და კეთილსინდისიერების მოთხოვნებს.³³

კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა შორის არსებული სახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობის შეცვლა. მოცემული ფუნქცია მაშინ ვლინდება, როცა სასამართლო ერევა მხარეთა შეთანხმებაში საზოგადოებაში მომხდარი იმ ცვლილებების შემთხვევაში, რომლებიც გავლენას ახდენენ სახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობების არსებობასა და მიმდინარეობაზე.³⁴ აღნიშნულ მიდგომას ვხვდებით გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 313-ე პარაგრაფში³⁵, რომელიც შეეხება გარიგების საფუძვლის ცვლილებას და ადგენს შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების სხვადასხვა შემთხვევებს.

კეთილსინდისიერების პრინციპი, როგორც განუსაზღვრელი სამართლებრივი კატეგორია

³⁰ *ოსელიანი ალ.*, დასახ. ნაშრომი, სქოლიო 4, 62.

³¹ *ხუნაშვილი ნ.*, დასახ. ნაშრომი, სქოლიო 8, 92-93.

³² იქვე 95.

³³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის კომენტარი, ავტ.: *ზოიძე ბ.*, (რედ. ლ. ჭანტურია) წიგნი მესამე, თბილისი, 2001, 399-400.

³⁴ *ხუნაშვილი ნ.*, დასახ. ნაშრომი, სქოლიო 8, 94.

³⁵ იხ.: *კროპკოლერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, თბილისი, 2014, 216-219.

კეთილსინდისიერების დეფინიციას სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა. კეთილსინდისიერი ქცევა არაა სამართლებრივი ქცევის ტოლფასი. ყოველგვარი არამართლზომიერი მოქმედება არაა იმავდროულად არაკეთილსინდისიერი მოქმედება და, პირიქით, არაკეთილსინდისიერი ქცევა ყოველთვის არ არის არამართლზომიერი ქცევა. კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქმედებას გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით, ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას.³⁶

კეთილსინდისიერების პრინციპი გამოიყენება სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე ორივე მხარის ინტერესების გაწონასწორების მიზნით. აღნიშნული განაპირობებს იმას, რომ სამოქალაქო კოდექსის სხვადასხვა მუხლში გაბნეულია კეთილსინდისიერების შესახებ არსებული დებულებები. ამასთან, კოდექსის ბევრი ნორმა, რომელიც პირდაპირ არ უთითებს კეთილსინდისიერებაზე, მაინც მას ეფუძნება.³⁷

კეთილსინდისიერების პრინციპი დაკავშირებულია მორალურ სტანდარტებთან. იგი თავად არის მორალური სტანდარტი, ეთიკურ-სამართლებრივი პრინციპი.³⁸ არ არის არსებითი „კეთილსინდისიერების“ ცნების ეტიმოლოგიის დადგენა. არსებითად უმნიშვნელოა, თუ რომელი ტერმინი შეიძენდა „უნივერსალური კეთილსინდისიერების“ პრინციპის მნიშვნელობას. სიტყვა კეთილსინდისიერების სრულფასოვნად ჩაანაცვლება შეუძლია ისეთ სიტყვებს, როგორცაა: „სამართლიანობა“, „მიზანშეწონილობა“, „ეთიკურობა“, „ზნეობრიობა“, „გულწრფელობა“. „კეთილსინდისიერება ნიშნავს გულწრფელობას, მიუკერძოებლობას, ობიექტურობას, სამართლიანობას - განმარტებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში“.³⁹ კეთილსინდისიერების ინსტიტუტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამოქალაქო სამართლისათვის და იგი მთლიანად კერძო სამართლის უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს. კეთილსინდისიერების პრინციპი თითოეულ მათგანს მოიცავს, ანუ სამართლებრივი ურთიერთობის წარმართვაზე ზემოქმედების თვალსაზრისით თავის თავში აერთიანებს ყველაფერს, რაც ზოგადი მნიშვნელობით ამ ტერმინში მოიაზრება.⁴⁰

დავას არ იწვევს ის ფაქტი, რომ კეთილსინდისიერების პრინციპი არ არის ისეთი ნორმა, რომელიც მსგავსია სხვადასხვა ქვეყნების კოდექსებში არსებულ ნორმათა უმეტესობისა. ამის გამო იგი ღია ნორმაა, რომლის შინაარსი არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ აბსტრაქტული გზით, არამედ იგი დამოკიდებულია საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე,

³⁶ ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, რედ. ლ. ჭანტურია, წიგნი მესამე, თბილისი, 2001, 361-ე მუხლი, 270.

³⁷ *ოსელოანი ალ.*, დასახ. ნაშრომი, სქოლიო 4, 30.

³⁸ იქვე 32.

³⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 15 თებერვლის №ას-1470-2018 გადაწყვეტილება. ხელმისაწვდომია: < <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> > [15.04.2019].

⁴⁰ *კერესელიძე დ.*, დასახ. ნაშრომი, სქოლიო 1, 86.

რომელთა მიმართაც იგი უნდა იქნეს გამოყენებული და რომელიც დადგენილ უნდა იქნეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.⁴¹

სწორედ ამიტომ კეთილსინდისიერების პრინციპი განუსაზღვრელი სამართლებრივი კატეგორიაა, რომელიც გამოიყენება სამართლიანი შედეგების დადგომისათვის და აშკარად უსამართლო შედეგის თავიდან აცილებისათვის. კეთილსინდისიერების საფუძველზე აღმოიფხვრება როგორც კანონის, ისე ხელშეკრულების ხარვეზი.⁴²

კეთილსინდისიერების პრინციპი, როგორც სასამართლო პრაქტიკის განვითარების საფუძველი

სახელმწიფო ქმნის აბსტრაქტულ სამართლებრივ ნორმებს, რომლებიც მრავალჯერადი გამოყენებისაა და ინდივიდუალური მდგომარეობის დარეგულირებაზეა გათვლილი. თუ მართლმსაჯულების განხორციელებას დაიყვანთ კანონის მექანიკურ გამოყენებამდე და მოსამართლეს არ ექნებოდა არანაირი თავისუფლება, ასეთ შემთხვევაში შეგვეძლებოდა დანამდვილებით გაგვეთვალისწინებინა ყოველგვარი სამართლებრივი დავის შედეგი და სასამართლო გადაწყვეტილებათა ერთმანეთთან წინააღმდეგობაც სავსებით შეუძლებელი იქნებოდა. მხოლოდ მართლმსაჯულების პროცესში შეიძლება მთლიანად განვითარებულ და შემცნებულ იქნეს სამართლებრივი ნორმა თავისი სრული მნიშვნელობით.⁴³

საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის⁴⁴ თანახმად, „მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს“. კონსტიტუციის აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე უნდა დავასკვნათ, რომ ძირითადი კანონი კრძალავს სამოსამართლო სამართალს როგორც სამართლის წყაროს.⁴⁵

მართლწესრიგი არ შეიძლება იყოს იდეალურად სრულყოფილი. კანონი ვერ გაითვალისწინებს კონკრეტული ურთიერთობების გადაწყვეტის ყველა შესაძლო მოდელს. კანონის ტექსტი, ჩვეულებრივ, აბსტრაქტულია, რომლის ზოგიერთი დებულებებიც განმარტებას მოითხოვს. გარდა ამისა, მოსამართლეს ხშირად უწევს იმ ურთიერთობების გადაწყვეტა, რომლებიც არაა მოწესრიგებული სამართლის ნორმით.⁴⁶

ამასთან, საბაზრო ურთიერთობათა ზღვარდაუდებელმა თავისუფლებამ საბოლოოდ ეკონომიკური ექსპლუატაცია გამოიწვია. ხელშეკრულების დადების თავისუფლება, რომელიც ითვლებოდა სამოქალაქო ბრუნვის აუცილებელ პირობად, საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით შეიზღუდა.⁴⁷ მოსამართლის მიერ

⁴¹ *ოსელიანი ალ.*, დასახ. ნაშრომი, სქოლიო 4, 32.

⁴² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 18 ივლისის N ას-663-629 გადაწყვეტილება. ხელმისაწვდომია: < <http://prg.supremecourt.ge/CaseCivilResult.aspx> > [07.04.2019].

⁴³ *გოგიაშვილი გ.*, სამოსამართლო სამართალი, გამომც. „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2014, 69.

⁴⁴ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლი, ხელმისაწვდომია: < <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35> > [22.04.2019].

⁴⁵ *ხუბუა გ.*, სამართლის თეორია, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, 2004, ველი 380, 132.

⁴⁶ იქვე, 132.

⁴⁷ *ლაკერბაია თ.*, ხელშეკრულების უარყოფის უფლება: ქართული და ევროპული სახელშეკრულებო სამართლის შედარებითი ანალიზი, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური

კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენება სხვა არაფერია, თუ არა ხელშეკრულების თავისუფლებაში ჩარევა, რაზეც კეთილსინდისიერების ფუნქციებიც მეტყველებს.

მოსამართლეები, ვინაიდან ეჯახებიან კონკრეტულ რეალობებს, ავსებენ კანონმდებლის სიცარიელეს, განმარტავენ მას, პოულობენ მისი გამოყენების ახალ საშუალებას, ხშირად ზემოქმედებენ კანონმდებლობაზე, რომელიც იძულებული ხდება მოახდინოს სასამართლო პრაქტიკის ლეგალიზება. პრაქტიკა, თავის მხრივ, ხშირად ითხოვს თავისი კანონების მიღებას. საბოლოო ჯამში, იურიდიულ სცენაზე მოქმედი ყველა პირი ხელს უწყობს სამართლებრივი სისტემის შექმნას.⁴⁸

სამოსამართლო სამართალი უნდა განიმარტოს, ერთი მხრივ, როგორც სამართლის ნორმის შეფარდების, განმარტების, შემეცნების გაგებით, ხოლო, მეორე მხრივ, სამოსამართლო სამართალი წარმოადგენს ყველა სასამართლო გადაწყვეტილების ერთობლიობას სამართლის ნორმის დადგენის მნიშვნელობით. სამოსამართლო სამართალი არის პოზიტიური სამართლის ნორმით ან სასამართლო პრეცედენტით დაურეგულირებელი ურთიერთობების გადაწყვეტის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებათა ერთობლიობა.⁴⁹ სამოსამართლო სამართალი არის სამართლის შეფარდების და არა სამართალშემოქმედების აქტი. პრაქტიკული მნიშვნელობა სასამართლო გადაწყვეტილებას საკანონმდებლო ხარვეზის შევსებისას აქვს.⁵⁰

კეთილსინდისიერების პრინციპი არის ნორმა, რომელიც სხვა ნორმების მოდიფიცირებას ახდენს. ასოცირებული პროფესორი, მოსამართლე ალექსანდრე იოსელიანი შემდეგ მოსაზრებებს ავითარებს კეთილსინდისიერების პრინციპთან დაკავშირებით: „კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენებლობის შესახებ პასუხისმგებლობა არც საქართველოს სასამართლო სისტემის კორპუსს უნდა ასცდეს, განსაკუთრებით იმ მოსამართლეებს, რომლებიც სამოქალაქო დავებს იხილავენ წლების განმავლობაში, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ გერმანიაში კეთილსინდისიერების პრინციპის როლის განუზომლად ზრდა გამოწვეული იყო სწორედ სასამართლოების საქმიანობით.“⁵¹ „მოსამართლე იმას კი არ უნდა ეძიებდეს თუ რა ჩანაფიქრი ჰქონდა თავიდან პარლამენტარებს, არამედ იმაზე უნდა იფიქროს დღევანდელ ვითარებაში ყველაზე კარგად როგორ შეიძლება ამ კანონის განმარტება, მოსამართლე ყოველთვის დღევანდელი რელობიდან უნდა გამოდიოდეს, რათა მან უფრო ადეკვატურად, უფრო სამართლიანად მოაწესრიგოს კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობა.“⁵²

ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2016, 18. ხელმისაწვდომია: <http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/tamar_lakerbaia.pdf> [09.05.2019].

⁴⁸ გოგიაშვილი გ., დასახ. ნაშრომი, სქოლიო 43, 72.

⁴⁹ ჯორბენაძე ო., სამოსამართლო სამართლის პრობლემა, თბილისი 2007, 68.

⁵⁰ ხუბუა გ., დასახ. ნაშრომი, სქოლიო 45, ველი 383, 133.

⁵¹ იოსელიანი ალ., დასახ. ნაშრომი, სქოლიო 4, 14.

⁵² დუნდუა ლ., კაკუშაძე გ., სესხის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული თანამედროვე ცვლილებები, როგორც ჭარბვალთანობისგან დაღწევის საშუალება?!, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ცხოვრება და კანონი“, N 3-4 (43-44), თბილისი, 2018, 76.

სასამართლოს მიერ კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენების საუკეთესო მაგალითია 1923 წლის 28 ნოემბერს გერმანიის საიმპერიო უმაღლესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, როდესაც სასამართლომ თავის თავზე აიღო პასუხისმგებლობა და უარყო ნომინალიზმის პრინციპი გერმანულ მარკასთან დაკავშირებით. კერძოდ, სასამართლომ თვითონ განსაზღვრა გერმანული მარკის კურსი. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გერმანია ჰიპერინფლაციას განიცდიდა. შეუკავებელმა ინფლაციამ გამოიწვია სიმდიდრის გადანაწილება, ეკონომიკური სიძნელები, სოციალური უწყესრიგობა. მიუხედავად მრავალი ნააზრვისა, მოძებნილიყო გამოსავალი რთული სიტუაციიდან, მხოლოდ ოერტმანის თეორია⁵³ „გარიგების საფუძვლის შესახებ“ იქნა გაზიარებული გერმანიის საიმპერიო სასამართლოს მიერ, რომელიც დაეყრდნო გსკ-ის 242-ე პარაგრაფს. ამ თეორიის გამოყენებით, სასამართლომ ხელშეკრულებები მიუსადაგა შეცვლილ გარემოებებს. აღნიშნულ თეორიაზე დაყრდნობით, გერმანიის უმაღლესმა სასამართლომ დაიწყო ფართომასშტაბიანი პრეცედენტული გადაწყვეტილებების მიღება, ვინაიდან გააცნობიერა თავისი როლი სოციალური სამართლიანობის დაცვის საკითხებში.⁵⁴

საქმე შეეხებოდა ვალდებულების შესრულებას, რომელიც წარმოშობილი იყო პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე (ჰიპერინფლაციამდე), მოვალემ გადაწყვიტა ვალდებულების შესრულება ქალაქის მარკებით, რომლებიც შესრულების მომენტისათვის სრულიად გაუფასურებული იყო. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოვალემ არ შეასრულა ვალდებულება. მან თავად განსაზღვრა გერმანული მარკის კურსი. სასამართლო დადგა დილემის წინაშე: ნომინალიზმის პრინციპის გამოყენების შემთხვევაში, სამართლიანობის პრინციპის საწინააღმდეგოდ, კრედიტორისათვის არსებითად დამღუპველი შედეგი დადგებოდა. მარკის დევალვაციამ წარმოშვა კოლიზია ნომინალიზმის პრინციპსა და კეთილსინდისიერების პრინციპს შორის. გერმანიის საიმპერიო სასამართლომ გამოიყენა გსკ-ის 242-ე მუხლი და საქმის გადაწყვეტისას უპირატესობა მიანიჭეს კეთილსინდისიერების პრინციპს.⁵⁵

ქართულ სასამართლო პრაქტიკაში მოიძებნება სასამართლო გადაწყვეტილებები, მათ შორის პირველი ინსტანციის სასამართლოებში, სადაც მოსამართლემ კეთილსინდისიერების პრინციპი გამოიყენა და აღნიშნულ პრინციპზე დაყრდნობით გამოიტანა გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა კრედიტორისა და მოვალის ურთიერთობებში კეთილსინდისიერებისა და გულისხმიერების მოვალეობის დარღვევის შედეგად კრედიტორის მიერ უფლების ბოროტად გამოყენების თაობაზე.⁵⁶ საკასაციო პალატამ

⁵³ ოერტმანის თეორიის მიხედვით, შეცვლილი გარემოებების გამო ხელშეკრულება წყვეტს მოქმედებას, თუ არ გამართლდა მხარეთა მოლოდინი, წარმოდგენები და ვარაუდები, რომლებსაც ისინი მიზნად ისახავდნენ ხელშეკრულების დადების მომენტში. იხ.: *ოსელაიანი ალ.*, დასახ. ნაშრომი, სქოლიო 4, 62.

⁵⁴ *ოსელაიანი ალ.*, დასახ. ნაშრომი, სქოლიო 4, 25-26.

⁵⁵ *ოსელაიანი ალ.*, დასახ. ნაშრომი, სქოლიო 4, 27-28.

⁵⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 ივნისის №ას-1338-1376-2014 გადაწყვეტილება, ხელმისაწვდომია: <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> [08.05.2019].

განმარტა, რომ ზოგადად, ყველა მართლწესრიგი სამართლის სუბიექტთა ქცევის წესს კეთილსინდისიერების პრინციპზე აფუძნებს და ამ პრინციპს ნორმატიულ კონცეფციად განიხილავს. იგი თანამედროვე სამართლის, ფილოსოფიისა და ბიზნესის ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპია. კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქმედებას პასუხისმგებლობით, და ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას. კეთილსინდისიერება, როგორც ნორმატიული, ისე სუბიექტური ნების განმარტების ინსტრუმენტია. მის საფუძველზე აღმოიფხვრება კანონის და ხელშეკრულების ხარვეზი. კეთილსინდისიერების პრინციპის შინაარსი, უპირველეს ყოვლისა, იმით გამოიხატება, რომ მხარეს, გარდა ვალდებულების ჯეროვანი შესრულებისა, ევალება ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულებაც, ანუ კონტრაქტის პატივსადები ინტერესების გათვალისწინება და დაცვა. ამ მოთხოვნის დარღვევა კი არა მხოლოდ სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების პროცესში, არამედ სახელშეკრულებო მოლაპარაკებათა და ძირითადი ვალდებულებების შესრულების შემდგომ ეტაპზეც შესაძლებელია პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი გახდეს.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ ნებისმიერი დავის გადაწყვეტისას სასამართლო ხელმძღვანელობს დავის სამართლიანად გადაწყვეტისა და მონაწილეთა ინტერესების დაცვის პრინციპით. სამოქალაქო სამართალში ურთიერთობის კეთილსინდისიერი ქცევაა პრეზუმირებული, რაც იმთავითვე გულისხმობს იმის ვარაუდს, რომ ისინი თავიანთ უფლებებს კეთილსინდისიერად ახორციელებენ (სსკ-ის 8.3 მუხლი). უფლებათა ბოროტად გამოყენებისაგან სხვათა უფლებას იცავს სამოქალაქო სამართლის იმპერატიული ნორმები (სსკ-ის 10.3 მუხლი). შესაბამისად, მხარეთა უფლება თავისუფლად დადონ ხელშეკრულება და ასევე თავისუფლად განსაზღვრონ მისი შინაარსი, აბსოლუტური არ არის. სახელშეკრულებო დებულებების განსაზღვრის დროს ისინი ვალდებული არიან გაითვალისწინონ ზემოაღნიშნული.⁵⁷

ამასთან, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ყველა იმ სამართალურთიერთობაში, რომელშიც სახელმწიფო მონაწილეობს ნდობისა და კეთილსინდისიერების ხარისხი განსაკუთრებულად მაღალია. ამ შემთხვევაში, არ უნდა შეიქმნას პრობლემა კეთილსინდისიერების პრინციპის ფართოდ განმარტებასა და გამოყენებაში.⁵⁸

თბილისის სააპელაციო სასამართლომ თქვა, რომ სამოქალაქო სამართალურთიერთობა ეფუძნება სამართლიანობის, კეთილსინდისიერებისა და ზნეობის მოთხოვნებს, შესაბამისად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. უფლების კეთილსინდისიერად განხორციელება თავის თავში მოიცავს

⁵⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 15 თებერვლის N ას-1470-2018 გადაწყვეტილება. ხელმისაწვდომია: < <http://prg.supremecourt.ge/CaseCivilResult.aspx> > [09.04.2019].

⁵⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 01 მარტის N ას-15-15-2016 გადაწყვეტილება, ხელმისაწვდომია: < <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> > [09.04.2019].

სამართალსუბიექტის მიერ ნების გამოვლენისას წინდახედულობის ელემენტარული სტანდარტის გათვალისწინებას, რათა მის მიერ წინდაუხედავად გამოვლენილი ნებით დაუშვებლად არ იქნეს ხელყოფილი სხვათა უფლებები.⁵⁹

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სულისკვეთებიდან გამომდინარე, რაც ასევე წარმოადგენს საქართველოს საჯარო წესრიგს - ხელშეკრულების დადების თავისუფლების პრინციპს, გვერდით უდგას კეთილსინდისიერებისა და სახელშეკრულებო სამართლიანობის პრინციპი, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია ახალი ქცევის წესისა თუ სტანდარტების ჩამოყალიბება. სამართალი პირთა სამართლიანობის შეგრძნებით ნაკარნახევი პრინციპები და წესებია. ამიტომ ნებისმიერი პირი თავისი უფლება-მოვალეობების განხორციელებისას უნდა მოქმედებდეს ამ პრინციპების შესაბამისად. კეთილსინდისიერების პრინციპი კი პირის მოქმედებას სამართლიანობის კრიტერიუმთან ურთიერთკავშირში განიხილავს. ამ პრინციპის შესაბამისად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე, ვალდებულია გამიჯნოს სამართლიანი უსამართლოსგან და თავისი ქცევა სამართლიანობის კრიტერიუმს შეუსაბამოს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მისი ქცევა ობიექტური დამკვირვებლისა თუ მიუკერძოებელი პირის თვალში სამართლიანად უნდა ფასდებოდეს.⁶⁰ ბრუნვის მონაწილის ვალდებულება, ჯეროვნად შეასრულოს ვალდებულება, ემყარება იმ სინამდვილეს, რომელიც მისთვის ცნობილია და მას ამ სინამდვილისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება ევალება. კეთილსინდისიერად ქცევის ვალდებულება ემყარება სამართალში საზოგადოდ მოქმედ კეთილსინდისიერების ვარაუდს.⁶¹

ბაღდათის მაგისტრატმა სასამართლომ კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენებით, სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოსარჩელის მოთხოვნა სესხის პროცენტის ნაწილში შეამცირა საკუთარი ინიციატივით და მხარეთა შორის არსებული შეთანხმება წლიურ საბაზრო საპროცენტო განაკვეთზე ჩათვალა ბათილ გარიგებად. ამასთან, სასამართლომ გადაწყვეტილებაში ისიც აღნიშნა, რომ მოსარჩელე ეწევა სამეწარმეო საქმიანობას და იგი ეკონომიკურად ძლიერ მხარეს წარმოადგენს. ამ ფაქტის გათვალისწინებით მოსარჩელე მოქმედებდა არაკეთილსინდისიერად მაღალი საპროცენტო განაკვეთის დადგენისას.⁶²

ცაგერის რაიონულმა სასამართლომ ასევე კეთილსინდისიერების პრინციპი გამოიყენა, როდესაც საკუთარი ინიციატივით შეამცირა სასარჩელო მოთხოვნა, როგორც სარგებლის, ასევე პირგასამტეხლოს ნაწილში და მიუთითა, რომ თუ ვალდებულების შესრულების პირობები უნდა განისაზღვროს ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის ან მესამე პირის მიერ, მაშინ საეჭვოობისას ივარაუდება, რომ ამგვარი განსაზღვრა უნდა

⁵⁹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 29 მაისის №28/771-1 გადაწყვეტილება, ხელმისაწვდომია: <<http://library.court.ge/judgements/3512013-10-05.pdf>> [22.04.2019].

⁶⁰ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 08 მაისის №28/6571-13 განჩინება, ხელმისაწვდომია: <<http://library.court.ge/judgements/95462014-07-03.pdf>> [22.04.2019].

⁶¹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 23 აპრილის №28/814-13 განჩინება, ხელმისაწვდომია: <<http://library.court.ge/judgements/88562014-02-07.pdf>> [23.04.2019].

⁶² ბაღდათის მაგისტრატი სასამართლოს 2018 წლის 26 ივლისის N 2/57-18 გადაწყვეტილება.

მოხდეს სამართლიანობის საფუძველზე. სასამართლომ ბათილ გარიგებად ჩათვალა მხარეთა შეთანხმება სესხის სარგებლის ნაწილში ყოველდღიური 0.7 პროცენტის რაოდენობით და იგი შეამცირა საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით წლიური საბაზრო საპროცენტო განაკვეთით დადგენილ რაოდენობამდე. პირგასამტეხლოს ნაწილში კი აღნიშნა, რომ პირგასამტეხლოს მიზანია კრედიტორის დარღვეული უფლების აღდგენა და არა მისი გამდიდრება. შესაბამისად, პირგასამტეხლო უნდა იყოს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი და გონივრული.⁶³

იმ შემთხვევაში, როდესაც ერთმანეთს უპირისპირდება ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი და კეთილსინდისიერების პრინციპი, პრიორიტეტი კეთილსინდისიერების პრინციპს უნდა მიენიჭოს, რადგან სწორედ მოცემულ პრინციპს შეუძლია უზრუნველყოს სამართლიანი ბალანსის არსებობა ხელშეკრულების მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს შორის. კეთილსინდისიერების პრინციპს ხელშეკრულების მხარეთა უფლება-მოვალეობების დაბალანსების ფუნქცია აქვს.⁶⁴ იგი სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა ერთმანეთის უფლებებისადმი გულისხმიერებითა და პატივისცემით მოქმედებას გულისხმობს. კეთილსინდისიერების პრინციპი ხელს უწყობს სამოქალაქო სამართლის განვითარებას, რადგან მოსამართლის ხელში იგი გვევლინება სამართლიანობის საზომად, რომლის დახმარებით, მოსამართლე კანონის და საკუთარი შინაგანი რწმენის საფუძველზე იღებს სამართლიან გადაწყვეტილებას.

სასამართლო მიხედულებასთან⁶⁵ დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებას ავითარებს ისრაელის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე არონ ბარაკი, რომლის შეფასებით, სამოსამართლო სამართალი ესაა სასამართლოსთვის მიცემული უფლებამოსილება, გააკეთოს არჩევანი რამდენიმე კანონიერი შესაძლებლობიდან.⁶⁶

სამართალი - ესაა აბსტრაქტული ნორმა და მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებას გადაყავს კანონმდებლის წესი სავალდებულო აქტში, რომელიც საზოგადოებას შეეხება. მოსამართლე აძლევს სამართალს მის რეალურ და კონკრეტულ ფორმას. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ სტატუტი საბოლოო ჯამში კრისტალიზდება ფორმაში, რომელსაც მას მისაცემს მოსამართლე.⁶⁷

სასამართლო პრაქტიკის როლი და გავლენა სულ უფრო იზრდება, მათ შორის კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებშიც. საზოგადოებრივი ურთიერთობები დინამიკურად და სწრაფად იცვლება. სასამართლო პრაქტიკა ხელს უწყობს ამ შეცვლილ ურთიერთობებთან სამართლის ადაპტაციის პროცესს.⁶⁸

⁶³ ცაგერის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 21 მარტის N 2/102-19 გადაწყვეტილება.

⁶⁴ *ხუნაშვილი ნ.*, დასახ. ნაშრომი, სქოლიო 8, 111.

⁶⁵ ტერმინი „სასამართლო მიხედულება“ გულისხმობს სასამართლოს დისკრეციას, რომელიც ხშირად მქდავენდება როგორც სამართალშემოქმედების ფორმა, იხ.: *გოგიაშვილი გ.*, სამოსამართლო სამართალი, გამომც. „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2014, 73.

⁶⁶ *გოგიაშვილი გ.*, დასახ. ნაშრომი, სქოლიო 43, 72.

⁶⁷ *გოგიაშვილი გ.*, დასახ. ნაშრომი, სქოლიო 43, 73.

⁶⁸ *ხუბუა გ.*, დასახ. ნაშრომი, სქოლიო 45, ველი 452, 166.

დასკვნა

კეთილსინდისიერების პრინციპს დიდი ისტორია აქვს, იგი სათავეს რომის სამართლიდან იღებს. კეთილსინდისიერების პრინციპი მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა რომაულ სამართლებრივ აზროვნებაში.

კეთილსინდისიერების პრინციპი როგორც დოქტრინაში, ასევე საკანონმდებლო დონეზეც, პირდაპირ თუ ირიბად, მკვიდრდება სამოქალაქო სამართალშიც.

კეთილსინდისიერების პრინციპი ეს არის ხელშეკრულების მხარეთა ინტერესების დაბალანსებისა და გაწონასწორებაზე მიმართული პრინციპი, რომელმაც წამყვანი როლი უნდა შეასრულოს სასამართლო პრაქტიკის განვითარებაში.

იმის გამო, რომ კეთილსინდისიერების განმარტებას სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა, აღნიშნული პრინციპი ღია ნორმას წარმოადგენს, რაც ნიშნავს, რომ იგი განუსაზღვრელი სამართლებრივი კატეგორიაა, რომელიც გამოიყენება სამართლიანი შედეგების დადგომისათვის და ამკარად უსამართლო შედეგის თავიდან აცილებისათვის. კეთილსინდისიერების პრინციპს კანონის და ხელშეკრულების ხარვეზების შევსება ევალება. იგი შესაძლებლობას აძლევს სასამართლოებს კანონის დაურღვევლად მიიღონ გადაწყვეტილებები და შექმნან უფლების დაცვის ინსტრუმენტები. კანონში ხარვეზის არსებობა სასამართლოსაგან შევსებას მოითხოვს, რაც იძლევა სამოსამართლო სამართლის განვითარების შესანიშნავ შესაძლებლობას.

კეთილსინდისიერების პრინციპი წარმოადგენს ზოგად ვალდებულებას და იგი თვითონ არის მორალური სტანდარტი. კეთილსინდისიერება ნიშნავს გულწრფელობას, მიუკერძოებლობას, ობიექტურობას, სამართლიანობას, რაც გულისხმობს ზოგად პრეზუმციას, რომ სამოქალაქო ურთიერთობის ყოველი მხარე საკუთარ უფლებებსა და მოვალეობებს კეთილსინდისიერად შეასრულებს.

კეთილსინდისიერების პრინციპი სასამართლოს ხელში დიდ მნიშვნელობა იძენს, როცა სახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობის გადაწყვეტისას კონკრეტული ნორმები ხარვეზიანი აღმოჩნდება. ასეთ დროს კეთილსინდისიერების პრინციპის ფუნქციების გამოყენებით, სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას და ავსებს კანონისა თუ ხელშეკრულების ხარვეზს. ყოველი ასეთი გადაწყვეტილება კი სამოსამართლო სამართლის განვითარებას უწყობს ხელს, რადგან მიღებული გადაწყვეტილებით სასამართლო ავსებს კანონმდებლის სიცარიელეს, განმარტავს მას, პოულობს კანონის გამოყენების ახალ საშუალებებს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს ისეთ ნორმას, რომელიც ხელშეკრულებას განმარტავდა კეთილსინდისიერების მოთხოვნათა გათვალისწინებით. აღნიშნული ნორმის არსებობა უფრო გააძლიერებდა სამოსამართლო სამართლის განვითარებას, რადგან ხელშეკრულებების განმარტება მოხდებოდა სამოქალაქო ბრუნვის ჩვეულებების მხედველობაში მიღებით, როგორც ამას გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 157-ე პარაგრაფი უთითებს.

კეთილსინდისიერების პრინციპი არ უნდა გამოიყენებოდეს განყენებულად, იგი სახელმწიფოებო ურთიერთობებში ფართოდ ჩარევის შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს სამოსამართლო სამართლის მეშვეობით.

ბოლო წლებში ქართულ სასამართლო პრაქტიკაში გახშირდა შემთხვევები, როდესაც სასამართლომ კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენებით მიიღო გადაწყვეტილება. ამასთან, მნიშვნელოვანია საქართველოს უზენაესი და საქართველოს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, რადგან სამართლის განვითარება ხდება მაღალი დონის სასამართლოების მიერ, რომლებსაც გაცილებით უფრო დიდი ფუნქცია აკისრიათ სამართლის წინაშე, ვიდრე ფაქტების დადგენაა. მისასაღებელია პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებშიც სასამართლო იყენებს კეთილსინდისიერების ზოგად დათქმას და ავსებს როგორც კანონის, ისე ხელმწიფოების ხარვეზებს. აღნიშნული, პირველ რიგში, ხელს უწყობს მხარეთა ინტერესების დაბალანსებას და ამავე დროს საფუძველს ქმნის სასამართლო პრაქტიკის განვითარებისათვის.

ლიტერატურა

1. კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2009.
2. ჯორბენაძე ს., ხელმწიფოების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2017.
3. იოსელიანი ალ., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელმწიფოებო სამართალში (შედარებითსამართლებრივი გამოკვლევა), ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, თბილისი, 2007.
4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702>>
5. ხუნაშვილი ნ., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელმწიფოებო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2014, ხელმისაწვდომია: <http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/nino_xunashvili.pdf>
6. ურიადემოფელი კ., კეთილსინდისიერების პრინციპი ადმინისტრაციულ სამართალში და მისი გამოვლენის ფორმები, სამეცნიერო ჟურნალი „ახალგაზრდა ადვოკატები“ N1, ქ. თბილისი, 2014.
7. კროპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, მე-13 გადამუშავებული გამოცემა, თორნიკე დარჯანიასა და ზურაბ ჭეჭელაშვილის თარგმანი, თბილისი, 2014.
8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 18 ნოემბრის №ას-549-521-2015 გადაწყვეტილება, ხელმისაწვდომია: <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>
9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 12 აპრილის №ას-1224-1076-2010 გადაწყვეტილება, ხელმისაწვდომია <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>
10. ცვაიგერტი კ., კოტიც კ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი II, თბილისი, 2001.

11. ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, თბილისი, 2010.
12. ჰარტკამპი არტურ, სახელმწიფო სამართლის პრინციპები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის თარგმანები, ქართული სამართლის მიმოხილვა, თბილისი, 2009-2010.
13. ზოიძე ბ., (რედ. ლ. ჭანტურია), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბილისი, 2001.
14. კროპკოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, თბილისი, 2014.
15. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 15 თებერვლის №ას-1470-2018 გადაწყვეტილება. ხელმისაწვდომია: <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>
16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 18 ივლისის N ას-663-629 გადაწყვეტილება. ხელმისაწვდომია: <http://prg.supremecourt.ge/CaseCivilResult.aspx>
17. გოგიაშვილი გ., სამოსამართლო სამართალი, გამომც. „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2014.
18. საქართველოს კონსტიტუცია, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35>
19. ხუბუა გ., სამართლის თეორია, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, 2004.
20. ლაკერბაია თ., ხელმწიფოების უარყოფის უფლება: ქართული და ევროპული სახელმწიფოებო სამართლის შედარებითი ანალიზი, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2016, ხელმისაწვდომია: http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/tamar_lakerbaia.pdf
21. ჯორბენაძე ო., სამოსამართლო სამართლის პრობლემა, თბილისი 2007.
22. დუნდუა ლ., კაკუშაძე გ., სესხის ხელმწიფოებთან დაკავშირებული თანამედროვე ცვლილებები, როგორც ჭარბვალდებულებისგან დაღწევის საშუალება?!, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ცხოვრება და კანონი“, N 3-4 (43-44), თბილისი, 2018.
23. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 ივნისის №ას-1338-1376-2014 გადაწყვეტილება, ხელმისაწვდომია: <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>
24. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 01 მარტის N ას-15-15-2016 გადაწყვეტილება, ხელმისაწვდომია: <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>
25. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 29 მაისის №2ბ/771-1 გადაწყვეტილება, ხელმისაწვდომია: <http://library.court.ge/judgements/3512013-10-05.pdf>
26. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 08 მაისის №2ბ/6571-13 განჩინება, ხელმისაწვდომია: <http://library.court.ge/judgements/95462014-07-03.pdf>
27. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 23 აპრილის №2ბ/814-13 განჩინება, ხელმისაწვდომია: <http://library.court.ge/judgements/88562014-02-07.pdf>
28. ბაღდათის მაგისტრატის სასამართლოს 2018 წლის 26 ივლისის N 2/57-18 გადაწყვეტილება.
29. ცაგერის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 21 მარტის N 2/102-19 გადაწყვეტილება.
30. გოგიაშვილი გ., სამოსამართლო სამართალი, გამომც. „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2014.

Article received 2020-11-30